სოფლის მეურნეობის სექტორში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები

დალი სილაგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

RECENT DEVELOPMENTS IN THE AGRICULTURAL SECTOR

Dali Silagadze,
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor

RESUME

Summary Georgia has favorable conditions for the development of the agricultural economy, therefore it should continue to support the sector with various measures and investments. Despite the potential opportunities in the agricultural sector, there are still many challenges.

The aim of the paper is to determine the recent developments in the agricultural sector, the statistical data of the horticultural and animal husbandry sectors and the measures promoted by the government.

Thus, despite some successes in the agricultural sector, there is still a lot to be done, Georgia's agricultural sector enjoys special tax and regulatory approaches from the government compared to other sectors, but despite this, it is much less successful than other sectors. In 2015-2023, the economy of Georgia grew by 4.3%, while the real growth rate of the agricultural sector in the gross domestic product was only 2%

Key words: agriculture, agrarian sector, grain, livestock products, agro-insurance, projects.

* * * *

საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი პირობები გააჩნია, ამიტომ უნდა გააგრძელოს სხვადასხვა ღონისძიებები და დარგის ინვენსტიციებით ხელშეწყობა. მიუხედავად პოტენციური შესაძლებლობებისა სოფლის მეურნეობის სექტორში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევები არსებობს. ჯერ კიდევ მაღალია სოფლად სიღარიბის დონე, ფერმები ძირითადად დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება და ისინი მოწყვეტილი არიან ბაზრებს. მსოფლიო ბანკის კვლევებში ვკითხულობთ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის, განსაკუთრებით მცირე მეურნეობების, მხარდაჭერის მიზნობრიობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება შესაძლებელია ამ დარგის ორ ძირითად რესურსთან, წყალსა და მიწასთან დაკავშირებული ღრმად დამკვიდრებული პრობლემების გადაჭრის გზით, რაც საჭიროებს სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებისათვის ერთობლივი და ინტეგრირებული პოლიტიკის გატარებას.

საქართველოში სოფლის მეურნეობის უმეტესი კულტურების პროდუქტიულობა უცვლელად დაბალია და მცირე მეურნეობების დომინირება პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

2022 წელს საქართველოში მარცვლეულიდან ხორბლისა და ქერის წარმოება გაიზარდა, ხოლო დანარჩენი კულტურების წარმოება შემცირდა, ნათქვამია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის" მასალებში.

სოფლის მეურნეობის განვითარება და იმპორტ ჩანაცვლება საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია. ეს საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ქვეყანაში მიწის მესაკუთრეთა მხარდასაჭერად სხვადასხვა პროგრამა ხორციელდება.

„საქსტატის" მონაცემებით, 2022 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 211,8 ათასი ჰექტარი შეადგინა, ისევე, როგორც 2021 წელს. ამასთან, ძირითად ნაწილს შეადგენდა ხორბლის, სიმინდის, ქერისა და კარტოფილის ნათესები. „საქსტატის" ცნობით, 2022 წელს სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობა შემცირდა, ხოლო სხვა ბოსტნეულის, ასევე ხორბლისა და ქერის მოსავლიანობა გაიზარდა.

2022 წელს თესლოვანი ხილის (ვაშლი, მსხალი, კომში და სხვ.) წარმოების მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით 1,9%-ით გაიზარდა და 87,9 ათასი ტონა შეადგინა. საანგარიშო პერიოდში კურკოვანი ხილის (ქლიავი, გარგარი, ატამი და სხვ.) წარმოება 5,6%-ით გაიზარდა და 69,7 ათასი ტონა შეადგინა. საქართველოს მთავრობა ახალი ბაღების გასაშენებლად დამატებით თანხებს გამოყოფს.

2022 წელს თხილეულის წარმოებამ 42,2 ათასი ტონა (-21,7%) შეადგინა, სუბტროპიკული ხილის – 17,3 ათასი ტონა (-25,1%), ხოლო ციტრუსების – 53,1 ათასი ტონა (-13,8%). გარდა ამისა, გასულ წელს წარმოებული იქნა 279,8 ათასი ტონა ყურძენი, რაც 3%-ით ნაკლებია 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს მთავრობა ბაღების განვითარების ხელშეწყობას ცდილობს. 2015 წლის მარტიდან მოქმედებს სამთავრობო პროგრამა „დანერგე მომავალი", რომელიც ქვეყანაში ბაღების გაშენებას უწყობს ხელს. აღნიშნული პროექტი, სახელმწიფოს მხრიდან ხეხილის ბაღების განახლება-გაშენებისთვის ფერმერების მიერ ნერგების შეძენის დაფინანსებას ითვალისწინებს.

2022 წელს წარმოებული იყო 74,7 ათასი ტონა ხორცი, რაც 2021 წელთან შედარებით 2,9%-ით მეტია.

საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 2022 წლის ბოლოსთვის 6,5%-ით შემცირდა და 868,7 ათასი სული შეადგინა, ნათქვამია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის" წინასწარ მონაცემებში. „საქსტატის" მონაცემებით, გასული წლის ბოლოს ღორების რაოდენობა 139,9 ათას სულს შეადგენდა, რაც 8,5%-ით ნაკლებია 2021 წლის მაჩვენებელზე. ფრინველის რაოდენობა გაიზარდა 4,3%-ით და 2022 წლის ბოლოსთვის 9,7 მლნ ფრთა შეადგინა.

საქართველოში 2022 წელს წარმოებული იყო 74,7 ათასი ტონა ხორცი, რაც 2,9%-ით მეტია, ვიდრე 2021 წელს. „საქსტატის" წინასწარი მონაცემებით, რძის წარმოება გასულ წელს, 2021 წელთან შედარებით, 2,2%-ით შემცირდა და 574,7 მლნ ლიტრი შეადგინა. გარდა ამისა, 0,9%-ით შემცირდა კვერცხის წარმოებაც და 648,9 მლნ ცალი შეადგინა.

საქართველოდან გასულ წელს გაიყვანეს 131,6 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რაც 2021 წლის მონაცემზე 61,8%-ით მეტია. ამავე დროს, 13%-ით შემცირდა იმპორტი აღნიშნულ პერიოდში და 2 ათასი სული შეადგინა. საქართველოდან შინაური ფრინველი 2022 წელს გავიდა 13,6 მლნ ფრთა (+136,9%), ხოლო შემოვიდა 7,1 მლნ ფრთა (-6,2%). ღორის იმპორტი 2022 წელს 70%-ით გაიზარდა და 102,7 ათასი სული შეადგინა. გარდა ამისა, 75%-ით გაიზარდა ღორების ექსპორტი.

2023 წელს მოცვის ექსპორტის დიდი ნაწილი – მთლიანი ღირებულების 91,7% რუსეთზე მოდის. მიმდინარე წლის შვიდი თვის მონაცემებით, საქართველოდან ლურჯი მოცვის ექსპორტი გასულ წელთან შედარებით 2,1-ჯერ, 3 ათას ტონამდე გაიზარდა და მისმა ღირებულებამ 18,2 მლნ დოლარი შეადგინა, ნათქვამია საინვესტიციო კომპანია Galt&Taggart-ის კვლევაში. ქართული ლურჯი მოცვის ექსპორტი 2019 წელს დაიწყო და ყოველ წელს ორმაგდება როგორც რაოდენობის, ისე თანხის მხრივ.

2023 წელს მოცვის ექსპორტის დიდი ნაწილი (მთლიანი ღირებულების 91,7%) რუსეთზე მოდის. დანარჩენი 8,3%-დან 3% გავიდა სომხეთში, 2,3% – ევროკავშირის ქვეყნებში (პოლონეთი, ნიდერლანდი, გერმანია), 1,9% – არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და 1,1% – სხვა ქვეყნებში.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მაღალშემოსავლიანი კულტურების მოყვანას. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხელისუფლება აქტიურად ეხმარება ფერმერებს, რომლებსაც მაღალი ხარისხის ლურჯი მოცვი მოჰყავთ. ამ კულტურის ასობით ჰექტარზე გაშენებული პლანტაციებია იმერეთში, სამეგრელოში, აჭარასა და გურიაში.

შემოსავლები მოცვის ექსპორტიდან ყოველწლიურად იზრდებოდა და 2023 წელს 18,5 მლნ დოლარი შეადგინა. ლურჯი მოცვის წარმოება 2027 წლისთვის საქართველოში 25 მლნ ტონამდე გაიზრდება 2023 წლის 4 ტონასთან შედარებით, ნათქვამია საინვესტიციო კომპანია Galt&Taggart-ის კვლევაში.

„შეღავათიანი აგროკრედიტის" პროგრამის ფარგლებში ქართველმა ფერმერებმა მოცვის გასაშენებლად 127,9 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს, მთელი ქვეყნის მასშტაბით 2,5 ათას ჰექტარ ფართობზე ხეხილის ბაღები გაშენდა, იუწყება სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სტატისტიკის თანახმად, 2023 წლის 1 მაისიდან საქართველოდან მოცვის ექსპორტი 136,9%-ით გაიზარდა და თანხამ 17,3 მლნ დოლარი შეადგინა.

ამ პერიოდში საქართველოდან ექსპორტირებულია თითქმის 2,9 ათასი ტონა მოცვი, რაც 139,1%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ექსპორტი ძირითადად განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში (2,7 ათასი ტონა).

უწყების ცნობით, 1 მაისიდან დღემდე საქართველოდან განხორციელდა 10,3 ათასი ტონა ატმის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 11,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ატმის მოცულობა 439 ტონით (4%), ხოლო ღირებულება – 143 ათასი აშშ დოლარით (1%) გაიზარდა.

სამინისტროს ინფორმაციით, ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (9.266 ტონა), სომხეთში (970 ტონა), ბელარუსსა (20 ტონა) და უკრაინაში (18 ტონა).

ზრდა ფიქსირდება სპირტიანი სასმელების, ღვინის, უალკოჰოლო გაზიანი სასმელების, მოცვის და დაკონსერვებული ხილის შემთხვევებში. 2023 წლის 7 თვის მონაცემები (იანვარი-ივლისი) ასე გამოიყურება: ღვინის ექსპორტის ღირებულება – 150.5 მლნ აშშ დოლარი (24.3%-იანი ზრდა); სპირტიანი სასმელების ექსპორტის ღირებულება – 98.8 მლნ აშშ დოლარი (46.1%-იანი ზრდა); მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ღირებულება – 77.1 მლნ აშშ დოლარი (38.2%-იანი ზრდა); უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტის ღირებულება – 67.1 მლნ აშშ დოლარი (62.5%-იანი ზრდა); მოცვის ექსპორტის ღირებულება – 18.2 მლნ აშშ დოლარი (118%-იანი ზრდა);

ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტის ღირებულება – 36.0 მლნ აშშ დოლარი (65%-იანი ზრდა); ცოცხალი ცხვრის ექსპორტის ღირებულება – 15.3 მლნ აშშ დოლარი (66%-იანი ზრდა); თევზის ცხიმის ექსპორტის ღირებულება – 15.2 მლნ აშშ დოლარი (35%-იანი ზრდა); ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტის ღირებულება – 9.7 მლნ აშშ დოლარი (38%-იანი ზრდა); დაფნის ექსპორტის ღირებულება – 9.0 მლნ აშშ დოლარი (21%-იანი ზრდა); ლოკოკინის ექსპორტის ღირებულება – 368.3 ათასი აშშ დოლარი (49%-იანი ზრდა);

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 7 თვის მონაცემებით, თაფლის ექსპორტი (ექსპორტის ღირებულება 390 ათასი აშშ დოლარი) 12 ქვეყანაში განხორციელდა და ძირითად საექსპორტო ბაზარს ევროკავშირის წევრი ქვეყნები (ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია) წარმოადგენდნენ. 2023 წლის 7 თვის მონაცემებით,

საქართველოდან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა აშშ-ში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ჩინეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში", – ნათქვამია ინფორმაციაში.

ვაშლი, ისევე, როგორც ატამი, ყურძენი და მანდარინი საქართველოსთვის ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას წარმოადგენს. მთავრობა არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამას 2023 წელსაც განახორციელებს.

ხელისუფლებამ გასულ წელსაც გამოყო სუბსიდია „რქაწითელისა" და „კახური მწვანეს" ჯიშის ყურძენზე და იგი 1 კგ-ზე 0,35 ლარს შეადგენდა. საქართველოს მთავრობა „რქაწითელისა" და „კახური მწვანის" ყურძნის ჯიშების სუბსიდირებას წელსაც განახორციელებს, ნათქვამია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.უწყების ცნობით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც „რთველი 2023"-ის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა „რქაწითელის" და/ან „კახური მწვანის" არანაკლებ 0,90 ლარისა. გასულ წელს საქართველოს მასშტაბით მთლიანობაში 257 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალი გადამუშავდა, ხოლო მევენახეების საერთო შემოსავალმა 270 მლნ ლარს მიაღწია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ქვეყანამ 2022 წელს ექსპორტზე 66 ქვეყანაში 252,5 მლნ დოლარის ღირებულების 103 მლნ ლიტრამდე ღვინო გაიტანა.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ყველა პირი 70%-იან თანადაფინანსებას იღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, მათ შორის ვაზზე.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს სეტყვით მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებათ, პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

სოფლის განვითარების სააგენტო ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული კრედიტის პროცენტების თანადაფინანსებას განახორციელებს არა უმეტეს 12 თვისა წლიური 9%-ის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში ფინანსური ორგანიზაციები კრედიტებს 2023 წლის 31 ოქტომბრამდე გასცემენ.

ბოლო რამდენიმე წელია ქვეყანა აქტიურად მუშაობს ჩინურ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე. საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობების ახალ დონეზე გადასვლა ჩინურ ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს.

2017 წელს საქართველომ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში 2018 წლის იანვრიდან შევიდა. დღეისათვის ჩინეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია. ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 2022 წელს 25,8%-ით გაიზარდა 2021 წელთან შედარებით.

ამდენად, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა სოფლის მეურნეობის სექტორში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი,საქართველოს აგრარული სექტორი სხვა სექტორებთან შედარებით ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული საგადასახადო და რეგულაციური მიდგომებით სარგებლობს, თუმცა ამის მიუხედავად, სხვა სექტორებზე გაცილებით წარუმატებელია. 2015-2023 წლებში საქართველოს ეკონომიკა 4.3%-ით გაიზარდა, ხოლო აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 2% იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.სოფლის მეურნეობის, მიწისა და წყლის მართვის პოლიტიკა.pdf Adobe Acrobat Pro

2.https://sputnik-georgia.com/20230320/msxvilfexa-rqosani-pirutyvis-raodenoba-2022-wels-semcirda-275918930.html

3.https://sputnik-georgia.com/20230809/-------281065599.html

4.https://sputnik-georgia.com/20230718/-------279677822.html

5.https://sputnik-georgia.com/20230718/----279649859.html

6.https://sputnik-georgia.com/20230717/----279636004.html

7.https://geotimes.ge/agrosasursatho-produqtsiis-eqsportis-machvenebeli-gazrdilia-saministro/

8.https://sputnik-georgia.com/20230809/-------281065599.html

9.https://sputnik-georgia.com/20230809/-----281064680.html

10.https://sputnik-georgia.com/20230731/saqartvelo-imedovnebs-rom-produqciis-eqsporti-cinetsi-gaizrdeba-280649740.html

11.https://sputnik-georgia.com/20230628/agrodazrvevis-programasi-cartul-fermerebs-zarali-aunazraurdebat-279034134.html

12.https://sputnik-georgia.com/20230503/kreditebi-qartveli-fermerebistvis-ufro-xelmisawvdomi-iqneba-277289965.html

13.საქსტატი 2023